ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48252882**

თარიღი:**15/10/2025**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 14 იანვრის №ბ48.482501416 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანები“-ს (ს/კ 421271652) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №48.482334618 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“–ს მმართველის 2025 წლის 10 ოქტომბრის №125/34 წერილის შესაბამისად,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 14 იანვრის №ბ48.482501416 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მმართველს (ი.კუჭავა).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი